

რეგიონული განვითარების პოლიტიკა და დეცენტრალიზაცია



2016

რეგიონული განვითარების პოლიტიკა და დეცენტრალიზაცია

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: ნინო ხუხუშვილი

სარჩევი

| | |
|-------------------------------|----|
| რეზიუმე | 3 |
| შესავალი | 4 |
| პრობლემის აღწერა | 5 |
| პრობლემის გადაჭრის გზები..... | 8 |
| რეკომენდაციები | 10 |
| დასკვნა | 11 |

რეზიუმე

ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომი სახელისუფლო რგოლია, ის საუკეთესო დონეა მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, რადგან ამ დონეზე მიღდული ყველა გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დღეს საქართველოში მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. თვითმმართელობის რეფორმის პროცესში მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განსაკუთრებით ადსანიშნავია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის XI თავი, კერძოდ, მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმი – დასახლების საერთო კრების ორგანიზება¹, რომლის პრაქტიკაში იმპლემენტირების საკითხი ჯერაც დღის წესრიგშია.

საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია რეგიონების დონეზე მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილება, კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხები არასაკმარისად არის რეგულირებული, აგრეთვე ცალკეული ნორმები დაბეჭდი/თემებში/სოფლებში არსებული რეალობიდან გამომდინარე, გამართვასა და დაზუსტებას მოითხოვს.

არსებული სამართლებრივი ბაზის განახლება და მასში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების განსაზღვრა ნათლად მიუთითებს სახელმწიფოს მზადყოფნას, გაააქტიუროს საზოგადოება და დაარწმუნოს ადგილობრივი თვითმმათველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაში. დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობაა. მოქალაქეთა ჩართულობა არ არის აბსტრაქტული საკითხი და სწორედ რომ მოქალაქეთა კონსტრუქციული ჩართულობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის პარტნიორობის მაღალი

¹ საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ქმედით ჩართულობას.

სარისხის შემთხვევაში მიიღწევა. რეგიონული განვითარების სისტემა უნდა ეყრდნობოდეს დეცენტრალიზებული მმართველობის პრინციპებს. რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბება განაპირობებს რეგიონების დემოკრატიული განვითარების პროცესის წარმატებას და შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით დემოკრატიული დირექტულებების დამკვიდრებასა და განვითარებას.

შესაგალი

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიაში ნათლად და მკაფიოდ არის აღნიშნული რეგიონის განვითარების მთავარი ამოცანები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოქალაქეთა პასიური ჩართულობის საკითხი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ჯერ კიდევ 2015 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი², რომლის ძირითადი არსიც გახლდათ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების, კერძოდ, დასახლების საერთო კრების (შემდგომ საერთო კრება) განსაზღვრა.

კანონპროექტის მიღება განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში იყო აღნიშნული, კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხები არასაკმარისად იყო რეგულირებული, აგრეთვე ცალკეული ნორმები მოითხოვდნენ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზირისით, გამართვასა და დაზუსტებას. კერძოდ:

- კოდექსის ძველი რედაქცია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხებს სულ ოთხ მუხლს უთმობდა, აქედან ორი მუხლი დეკლარაციული ხასიათის იყო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად ზოგად დებულებებს განამტკიცებდა;
- ძველი კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხოლოდ ორ ფორმას განსაზღვრავდა: პეტიციასა და მუნიციპალური ორგანოებისა და ონამდებობის პირების საჯარო ანგარიშების მოსმენას;
- განსაკუთრებით სუსტი იყო საქართველოს მცირე დასახლებების – სოფლების/დაბების მოსახლეობის ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობები.³

² <http://info.parliament.ge/#law-drafting/9522>

³ <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82914>

ქოველივე ეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების საფუძველი გახდა. კერძოდ, განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები, განსაკუთრებით სოფლის/დაბის ამომრჩეველთა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, ამასთან, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზირისით, დამუშავდა კოდექსის შესაბამისი ნორმები.

დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ქმედით ჩართულობას მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში. საერთო კრების წევრია დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება ასევე აქვთ დასახლებაში უძრავი ქონების მესაკუთრეებსა და დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან ფიზიკურ პირებს.⁴

საერთო კრება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, ევროპის ქვეყანებში სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი, მაგალითად: საერთო კრება – ბულგარეთში, ხორვატიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საბერძნეთში, ისლანდიაში, პორტუგალიაში; სოფლის კრება – უნგრეთში; სამოქალაქო საბჭო – სლოვენიაში; ადგილობრივ საბჭო - სლოვაკეთის რესპუბლიკაში და ა.შ.

პრობლემის აღწერა

„ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიულობის მნიშვნელოვან ფუნქციას და ადგილობრივი თვითმმართველობის მოცულობა და ფორმა განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტებით“.⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობა დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი და მისი შეფასების მთავარი ინდიკატორია.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვესმის მოქალაქეთა გააქტიურებისა და ჩართულობის შესახებ, ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მცირედი წარმატებების მიუხედავად, რეალურად, მოსახლეობის აქტივობის ძალიან

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>

⁵ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2010\)028-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)028-geo)

დაბალი დონე აღინიშნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დღემდე ვერ მოხერხდა მოქალაქეთა ჩართულობის იმგვარი მექანიზმის დამკვიდრება, რაც სისტემატიურ და უწყვეტ ხასიათს მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ამ მიმართულებით გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმი დაემატა, ჯერჯერობით მოქალაქეები დიდი ენთუზიაზმით არ სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და საერთო საზოგადოებრივი ინერტულობის შედეგად, ფერხდება დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესი. ხშირად თავად თვითმმართველობას არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე. ამდენად, საჭიროა მათვის გარკვეული სწავლების ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. დაბალია მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების დონეც, რაც იმის საფუძველია, რომ მოქალაქეები ვერ იყენებენ საკუთარ უფლებას, მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის პროცესში. ამისთვის აუცილებელია მათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კონსულტაციებისაა და საინფორმაციო მასალების მომზადების გზით, რათა გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობის კოეფიციენტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია თვითმმართველობების გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია რეგიონის დონეზე მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობა, ამის ერთ-ერთი მთავარი გამსაზღვრელი გარემოება არის მოსახლეობის ნაკლებინფორმირებულობა. მათ დიდ ნაწილს არა აქვს ინფორმაცია ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების შესახებ.

მაშინ, როდესაც დასახლების საერთო კრება უფლებამოსილია:

- იმსჯელოს დასახლებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და მუნიციპალიტეტის ორგანოებში წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;
- განიხილოს დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები და წინადადებები;

- განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე/განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებში წარსადგენად შეიმუშავოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;
- უზრუნველყოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთება-მოწესრიგებისა და სხვა სფეროებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს.

თემებში დღეს არსებული რეალობიდან გამომდნარე, პრაქტიკულად, შეუძლებელია ამ უფლებამოსილებების განხორციელება მოსახლეობის ინიციატივით. კანონში არსებული ჩანაწერი არსებითად სცდება თემებსა თუ სოფლებში დღეს არსებულ რეალობას. ნიჰილისტური დამოკიდებულება არსებობს მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმის მიმართ არა მარტო თემის/სოფლის მოსახლეობაში, ვისაც უშუალოდ ეხება ეს ცვლილება, არამედ თავად მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებში. უმჯობესია მსგავსი მექანიმების დაწერა ან წინ უძლოდეს არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლა/ანალიზი და ამის შემდეგ იქნება შემუშავებული მექანიზმები სწორი და ეფექტური.

- დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებისთვის/ლეგიტიმაციისთვის აუცილებელია, დასახლების საერთო კრების წევრთა 20%-ს მობილიზება. ეს ხშირად რთული და მიუღწეველი ხდება, რაც გამოწვეულია დასახლებებში მიგრაციის პროცესებით – ფაქტობრივად მაცხოვრებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება რეგისტრირებულ ამომრჩევების რაოდენობას. მიზეზად ისიც სახელდება, რომ დაბალია მოსახლეობის ინტერესი და ნდობა ადგილობრივი თვითმმართველობისადმი.
- მოსახლეობა არ იჩენს ინტერესს ორგანიზებული შეხვედრებისადმი, რაც გამოწვეულია ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ ხშირად უშედეგო და არაეფექტური შეხვედრების შედეგად ჩამოყალიბებული ნიჰილისტური დამოკიდებულებით;
- შესაძლებელია, რომ დასახლების საერთო კრების მიერ არჩეული პირის (რჩეულის), გამგებლის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრი მაჟორიტარის უფლებამოსილებების აღრევა მოხდეს, რაც მოსახლეობის გაურკვევლობას გამოიწვევს;

- დასახლების საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო პროცედურები და წესი გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ხოლო შემდგომში 2000 ამომრჩეველზე ნაკლები დასახლებისთვის დამტკიცებულია ტიპური დებულების სახით მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიერ. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას დასახლების საერთო კრების არსესა და მნიშვნელობაზე, ხოლო ნაწილისთვის კრების ორგანიზება ხანგრძლივ პროცედურებთან ასოცირდება, რაც მოსახლეობის ინერტულობის საფუძველი ხდება.
- დასახლების საერთო კრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების დროულად არ/ვერ მოგვარების შემთხვევაში, საზოგადოების უნდობლობა თვითმმართველობის მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საბოლოოდ გამოიწვევს მოქალაქეთა პასიურ ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაიზრდება უნდობლობა ადგილობრივი სახელისუფლო რგოლისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული საკანონმდებლო გარემო არ ქმნის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმებს და თავად თვითმმართველობები არ არიან პროაქტიურები მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ისინი ხედავენ, რომ მოსახლეობა პასიურია, თუმცა ამის გამოსასწორებლად ადეკვატურ დონისძიებებს არ ახორციელებენ.

პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები)

თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობა უკვე ნაცადი და ადიარებული პრაქტიკა ევროპაში. დღევანდელ საზოგადოებაში დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირებული წინადადებები, გადაწყვეტილების მიღების დროს, ზრდის უკეთესი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. მოქალაქეთა მონაწილეობა არის მზარდი დემოკრატიის მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს კარგ ადგილობრივ თვითმმართველობას. მონაწილეობას არა აქვს საფასური/ღირებულება, თუმცა ეს არის საზოგადოების ინვესტიცია, რომელიც მოქალაქეებს კუთვნილებისა და პასუხისმგებლობის გრძნობას შეუქმნის.

მნიშვნელოვანია, რომ კანონში არსებული ჩანაწერის სრულყოფა საქართველოს რეგიონებში არსებული რეალობის შესაბამისად მოხდეს. ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„არსებულ ვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია დეტალურად გაანალიზდეს მოქმედი ნორმატიული გარემო და შესწავლილ იქნეს ქვეყანაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების არსებული პრაქტიკა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სფეროში არსებული ძირითადი ფაქტორების: მოსახლეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა“⁶ ეკონომიკური ეს საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული დასკვნები სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ და შევიმუშავოთ სათანადო რეკომენდაციები.

ვინ გვინდა, რომ ჩავრთოთ – საზოგადოებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი. არსებობდეს მკაფიო გეგმა, რომელიც მიიზიდავს და რეალურად ჩართავს მათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მაგ: ინტერნეტის ხელმისაწვდომობა არ შეიძლება იყოს ეფექტური საშუალება ხანდაზმულებისა და დაბალი ცნობიერების მოქალაქეების ჩართულობისთვის). კონსულტაციების დროს გასათვალისწინებელია საზოგადოების კულტურა უხერხელი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. მსოფლიო პრაქტიკაში მონაწილეობისა და ჩართულობის ბევრი განსხვავებული მექანიზმი არსებობს როგორც საკანონმდებლო, ასევე ტრადიციებისა და სამოქალაქო კულტურის დონეზე. ამ მექანიზმების გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობა.⁷

იყავი მზად, რათა შეცვალო შენი გადაწყვეტილება – კონსულტაცია და დიალოგი მოქალაქეებთან იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მზად არის, შეცვალოს გადაწყვეტილება შედეგების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ ფიქრობს მოქალაქეებთან სერიოზულ მუშაობას, ნებისმიერი დიალოგი იქნება კონტრკოდუქტიული და შეიძლება ხელისუფლებისადმი მეტი უნდობლობა გამოიწვიოს. პროცესის დასაწყისში საჭიროა ჩვენება/დემონსტრირება, თუ როგორ ხდება მოქალაქეთა ინიციატივებისა და წინადადებების გათვალისწინება.

დაგეგმე საკმარისი დრო, შექმნი კარგი პირობები – მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ ადგილობრივი დონეზე მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჭიროა და უბროლო ფორმალობა. ინტენსიურად უნდა მოხდეს საზოგადებიდან წამოსული ინიციატივების

⁶ <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-1utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.1&d=HASH461d6e4352d6ac47cde5a0.2>

⁷ <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-1l--11-ka-00---10-help-50---00-3-1-00-0-0-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-00&c=CL4.1&d=HASH461d6e4352d6ac47cde5a0.1&x=1>

მხარდაჭერა და მათი წელილის აღიარება ადგილობრივი დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა პქონდეთ სურვილი და სტიმული გააგრძელონ საზოგადოების განვითარების პროცესში მონაწილეობა.

რეკომენდაციები

- თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის დონის გაზრდისა და ადგილობრივი საკითხების გონივრულ დროში გადაწყვეტისთვის აუცილებელია, ქვეყანაში დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის მომზადება იმგვარად, რომ მოხდეს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწა და არსებულ რეალობასთან შესაბამისობა, მოხდეს დეცენტრალიზაცია, რაც გამოიწვევს საბიუჯეტო დამოუკიდებლობასა და მდგრადობას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერებას.
- საერთო კრებას ჩატარების უფლებამოსილება მაშინ აქვს, თუ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20% ესწრება. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რისი მიღწევაც პრაქტიკაში ხშირად ვერ ხერხდება. შესაბამისად, 20%-იანი ზღვარი გადახედია – ის რეგიონებში არსებულ რეალობას უნდა მოერგის;
- თვითმმართელობისა და მის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისთვის აუცილებელია მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიის წარმართვა როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე.
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართელობის შესახებ, რათა მოხდეს მათი გააქტიურება და მეტი ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- მოქალაქეთა ჩართულობის საკითხის/მექანიზმების პოპულარიზაცია ტელე-რადიო საშუალებებით.

დასკვნა

მაშინ, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, სადაც სწორედ ერთ-ერთ მთავარ საკითხად ადგილობრივი თვითმმართველობების გაძიერება და პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა სახელდება, დღეს მოქალაქეთა ჩართულობისა და მათი ადგილობრივ დონეზე ეფექტური მონაწილეობის პრობლემა აღარ უნდა იდგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

მოცემული ნაშრომის მიზანი იყო, გვეჩვენებინა მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით დღეს არსებული მდგომარობა და პრობლემების მოგვარების გზები. ევროპის სხვადასხვა ქვეყნები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მოქალაქეთა გააქტიურებასა და მათი როლის გაზრდას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბოლო წლების განმავლობაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა მოქალაქეთა ჩართულობის ახალი ფორმები/ინსტრუმენტები, როგორიცაა მოქალაქის პანელები (citizens panel), მოქალაქეთა კომიტეტები (citizens committee)/გაერთიანებები, რომელიც მოქალაქეთა გააქტიურებას ემსახურება.

საქართველოში რეგიონულ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისთვის მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე მიღებული ცვლილებები არ არის საკმარისი. მას თან უნდა ახლდეს მისი პრაქტიკაში იმპლემენტირების ეფექტური მექანიზმები, რომელიც უნდა ემსახურებოდეს იმ საერთო მიზანს, რასაც რეგიონის გაძლიერება და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა პქვია გადაწყვეტლების მიღების პროცესში.